თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 4

„20“ თებერვალი 2020 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **გიგა ორკოდაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე**, ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება-მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი**, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილ თვალიაშვილი**, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი**.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი**.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი**;
მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი**;
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თაბერიძე**;
გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ელენე ღარიბაშვილი**;

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე**;

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შესყიდვების წლიური ანგარიშის შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ.ღაღანიძემ, გ.მამუკელაშვილმა,

**ლ.ბერძენაშვილმა** საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ინიციატივების პროექტების შერჩევისა და დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ და აღნიშნა, რომ ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელების საკითხი ნამდვილად აქტუალურია და ამიტომ დროულად უნდა მოხდეს პროექტების შერჩევისა და დაფინანსების წესის დამტკიცება.

**ე.ღარიბაშვილმა** საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად წარმოადგინა ანგარიში გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

**გადაწყვიტეს:** **2020 წლის 28 თებერვალს, 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

   მომხს. გ.თავზერიძე
   12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ.

   მომხს. გ.თავზერიძე
   12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

4. „მერების შეთანხმებაში კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ.

   მომხს. გ.თავზერიძე
   12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ.ღაღანიძე
   12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ინიციატივების პროექტების შერჩევისა და დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხს. ნ.აბეჩხრიშვილი

13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შესყიდვების წლიური ანგარიშის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ.ორკოდაშვილმა, დ.ღაღანიძემ,

ბიუროს წევრების მიერ აღინიშნა, რომ წარმოდგენილ ანგარიშში უფრო დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი ის პრობლემები, რომლებიც შეეხება ჩაშლილ ტენდერებს.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის შესყიდვების წლიური ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი — გიგა ორკოდაშვილი